

საქართველო




საპოლიტიკო, სამეცნიერო და სალიტერატურო ნახაზბოიანი გაზეთი გამოდის ყოველ კვირა დღეს
№ 48 ნოემბერი 28 1899 წ. № 48

შინაარსი: ჩვენი ასი წლის მშვიდობიანობა. — ეკონომიური მეცნიერების ისტორიიდან (შემდეგი) ალ. წულუკიძისა. — სხვა-და-სხვა ამბები. — „კვალის“ კორესპონდენციები. — კირიდან კვირამდე გ — ოსი. — ბელგიიდან (გაგრძელება) ღ. დ — სა. — * * * ლექსი გ. გოგოლაძისა. — ღალის გულის შესაიდუმლე (გაგრძელება) გ. გომართელისა. — სოფლის ცნობება (შემდეგი) სოფელისა — მოლოკინში პატარა ამბავი დ. თომაშვილისა. — კვალის ფოსტა და კერძო განცხადება.

რედაქციის ადრესი: არტილერიის ქუჩა № 5, იმის პირდაპირ, სადაც წინეთ რედაქცია იმყოფებოდა.

ეკონომიური მეცნიერების ისტორიიდან.



X (შემდეგი*)

II

ის არ გაუგონია ადამ სმიტის სახელი, რომელი ეკონომისტი არ შეგებია მის ეკონომიურ მოძღვრებას, რომელი სახელმძღვანელო უნდა არღო

პოლიტიკური ეკონომიის, რომ სმიტის სახელი არ ამოიკითხოთ, მაგრამ არა მგონია ყველას კარგათ ესმოდეს მისი ისტორიული მნიშვნელობა ეკონომიური თეოციტობიერების განვითარებაში, ვეჭვობ ბევრს გულ-დასმით წაეკითხოს მისი „ხალხთა სიმდიდრის“ სამი დიდი ტომი; არა იმიტომ რომ სამი წიგნის წაკითხვა ფრიად საქნელო და ან შეუძლებელი იყოს, არამედ იმიტომ რომ ამ მრავალ ფურც-

ლოვან თხზულებაში არ არის ერთ იდეაზე აკრული მსჯელობა, უადგილო მრავალ-სიტყვაობა და აზრების არე-დარევა ხელს უშლის შეუჩვეველ. მკითხველს ავტორის ნამდვილი შეხედულება გაიგოს, ინტერესით და გატაცებით გადაიკითხოს ბოლომდის და გათავებას შემდეგ სიამოვნებით თქვას: ყველაფერი კარგათ გაეგეო. მხოლოდ მისი დიადი მნიშვნელობა ეკონომიური მეცნიერების წინმსვლელობაში, უეჭველია. შემცდარი აზრია, თითქო ადამ სმიტი იყოს პოლიტიკურა ეკონომიის მშობელი, ეკონომიური მეცნიერების დამმკვიდრებელი, ხოლო უეჭველია ის, რომ მან ცოდნის ამ დარგში დიდი წვლილი შეიტანა, მთელი სკოლა შექნა, რომლის ბუნებრივმა ევოლუციამ ეს მეცნიერება საიმედო საფუძველზე დაამკვიდრა. ადამ სმიტი დედუქტიური მეთოდით სარგებლობდა თავის გამოკვლევაში. მისი დასაბამი აზრი ის იყო, რომ ადამიანი ეკონომიურ ცხოვრებაში ყოველთვის პირადი ინტერესის მიმდევარია, ყოველი მისი მოქმედება იმაზე არის მიმართული, რომ ეს ინტერესი დაიცვას. ცხადია თუ თითოეული ადამიანი თავის ინტერესის დაკვე-

*) ის. „კვალის“ № 47.



ლია, ხოლო საზოგადოება კი ამ ადამიანთა კრებულს წარმოადგენს, მთელი საზოგადოებაც საერთოთ ისე მოქმედებს, როგორც მისთვის უმჯობესია, რაც მას უფრო მოუხდება იმას შეითვისებს, შევიგნებს, ხოლო რაც აენებს—მოიშორებს, გადაადგებსო „პირადი სარგებლობა“, ამბობს სმიტი,—ყოველ ადამიანს აიძულებს მოიპოვოს უფრო სსარგებლო საქმე, ხოლო უსარგებლო უკუ აგდოს¹⁾ მაშასადამე მიეცით ადამიანს ნება იმოქმედოს ისე, როგორც მისი ინტერესი უკარნახებს, მიანიჭეთ მას სრული თავისუფლება და მაშინ ნახეთ, რომ საყოველთაო კეთილდღეობა დამყარდება. აქ მკითხველი უთუოთ მიხედება, რომ ამ აზრის სათავე თიზიოკრატების მოძღვრებაშია. ეს იმავე Laissez faire-ის განმეორებაა, იგივე შემცდარი უკიდურესობაა, ხოლო განახლებულ ფორმაში, უფრო მეტწიერულ ქერქში. აი, კიდევ რას ამბობს ამის შესახებ სმიტი: „მუშის ერთადერთ აელადიდებას მისი სამუშაო ძალა შეადგენს და მას რომ ამ ძალის თავის ნებაზე მოხზარება აუკრძალო, ეს პირდაპირი ძალდატანება იქნება ამ საკუთრების. ამით კანონიერი თავისუფლება მუშისა და დამპირაგებელი მრეწველისა სრულიად იკარგება: ეს იმას ნიშნავს, რომ ერთს დაუშალო მუშაობა ისე როგორც მას ურჩევნია, ხოლო მეორეს მისი დაქირაგება. სრულიად შეგვიძლია დავენდოთ ადამიანის გონიერებას; რადგან აქ საქმე მის ინტერესს შეეხება, ყველაზე უკეთ თითონვე მოსაზრებს. მართებლობის შიში, რომ მუშათ არ იქნეს დაქირაგებული იმისთანა კაცი, რომელიც ვერ შეასრულებს თავის მოვალეობას, უსაფუძვლოც არის და ხელ-ფეხის შემზორველიც“. (ib. გვ. 283—284). როგორც ხედავთ ადამ სმიტმა ფიზიოკრატების პრინციპი წაიმძღვანა წინ და მით შეუდგა თავის „ხალხთა სიმდიდრის“ წერას. მაგრამ, რასაკვირველია მართო ეს პრინციპი არ ეყოფოდა ეკონომიური მოვლენების გადასაწყვეტათ, მისთვის ფაქტები იყო საჭირო და ეს ფაქტები კი თანამედროვე ცხოვრებიდან ამოიკათხა, ამიტომ საჭიროა ჩვენც წინდაწინვე გავიცნოთ ის პირობები, რომელშიაც ადამ სმიტი თავის თხზულებას წერდა. (როგორც ყოველთვის მე XVIII-ე საუკუნეში სასოფლო-მრეწველობა ძლიერ ნელი ნაბიჯით მიდიოდა წინ. სახელოსნო წარმოება ქალაქებში სულს დაუთავდა, თითოეული დიდი სახელოსნო, რომელშიაც მრავალნაირი ნაწარმოები მზადდება, დანაწილდა, დაიშალა და მრავალი წერილი წარმოება გაჩნდა სხვა და სხვა საქონლის

დასამზადებლათ ე. ი. მეტი შრომის განაწილება მოხდა. მაგ. წინეთ თუ მთელ ეტოს ერთი რომელიმე ხელოსანი ამზადებდა, შემდეგ რამდენიმე კაცი ამზადებდა ცალ ცალკე მის შემადგენელ ელემენტებს, ნაწილებს: ჩილინდარი, მჭედელი, მღებავი, მეწნავირი და სხვა. მხოლოდ როდესაც ეტლის საწარმოვე ქარხანა დააარსა კაპიტალისტმა, მან ყველა ეს მოხელეები ერთ დარბაზში შეკრეკა და იქ ყველას მასალა დაურიგა, რათა თითოეულს თავისი სპეციალურსაგანი გაეკეთებია; შემდეგ ყველა ეს ნაწარმოები შეერთდებოდა, რომ ერთი იტლი მამზადებულიყო; ამნაირათ განვითარდა სამანუფაქტურო წარმოება. ეჭვი არ არის ამ განვითარების მიხედვით იყო გაცეცხლავამოცელის სწრაფი ზრდა. თავის თავათ ამ განვითარებამ ბაზრს ძებნა გამოიწვია და ამის შედეგი იყო იმ ძვირფასი ბაზრების მოპოება გასაღ თარებელ კაპიტალიზმისათვის, რომელსაც ამერიკა, აფრიკა და აზია წარმოადგენენ. ამ ახალი ბაზრების მოთხოვნის დამ წარმოება გააორკვეცა შრომის განაწილება მეტი სისწრაფისათვის შეიქნა საჭირო, ხოლო ამ განაწილებული შრომის შეერთება უფრო სასარგებლოთ იცნო კაპიტალისტმა, როდესაც ქარხანა გააშენა და ერთად თავი მოუყარა სხვა და სხვა მწარმოებელს. წარმოებისათვის მშრომელი იყო საჭირო, რომელსაც მასალისთვის თავის ძალაუნდა შეეერთებინა და საქონელი შეექნა. ამგვარ მშრომელათ, რასაკვირველია, მხოლოდ ის გამოდგებოდა, რომელსაც თავისი მასალა არ გააჩნდა (მაშინ ხომ თითონ დაიმუშავებდა) და მქონდა თავისუფლება თავისი შრომა სხვისთვის მოეხმარებინა, მასალას მქონესთვის მიეყიდნა თავისი ფიზიკური ძალა დროებით; ერთი სიტყვით საჭირო იყო თავისუფალი ბოვანო ხალხი. ამის რიცხვი საკმაოთ იყო იმ დროს ინგლისში. რატური მიწათ მკვლობელნი, დიდი უფუძეებით შეიარაღებულნი, სისხლს წუწნიდენ წერილ მესკუთრეს—გლეხობას. თავის სამფლობელოს გასაფართოებლათ ისინი გარეყდენ სოფელ გლეხებს მამულდე უფლიდან და თითონ დაიჭერდენ. „საფიქრებელია“ ამბობს როჯერსი—„რომ ლენდლორდებო, სადაც შესაძლებელი იყო, ბევრ მიწებს ისაკუთრებდენ და ამნაირათ ამცირებდენ სოფლის საბალახობებს“²⁾. მეორე უფრო ცნობილი ავტორი ამბობს: „მსხვილმა ფეოდალებმა, წინააღმდეგ მუშის უფლებისა და პარლამენტისა, უფრო მეტი რიცხვი შექნეს ბოვანო ხალხისა, გლეხების ძალით მამულეებდან გარეკით, და მათი საზოგადო მიწების დასაკუთრე-

1) А. Смитъ. Богатство народовъ пер. Библикова, изд. 1866. т. 1 гл. 250.

2) Роджерсъ. Исторія труда и заработной платы въ Англии съ XIII по XIX вѣкъ ст. 236

ბით“. 3) ამნაირი ცარცვა-გლეჯის მაგალითებია ყველგან ბევრი იყო. გერმანიაში ბევრი მაგალითებია ამ უსანიდსო ძალდატანების, გლეჯის გაძევების და მათი ქონების დასაკუთრების. „მე XII საუკუნეში საქსონიაში“, ამბობს კამპფმეიერი, „გლეხები უკვე თვალცრემლიანი შეჩიოდნენ ქვეყანას, ძალით გეარ-თმევენ ჩვენ საკუთარ ტყეებსო. ერთ ცნობილ თხზულებაში „Freidank“ ცხადათ არის ნათქვამი: თავადებმა ძალით დაიღლეს მთელი ქვეყანა, ქვა, წყალი და ტყე“. 4) ამისთანა ფაქტები მრავალი შეგვიძლია ჩამოვთვალოთ, მხოლოდ ესეც საკმაოა იმის გასაგებათ თუ როგორ დახვდა მზა მუშა ხელი განვითარებულ მანუფაქტურას. ეს გარეკილი უმიწაწყლო ბოგანო ხალხი ქალაქისკენ მიგრაციებოდა და თავის ფიზიკურ ძალას მცირე ფასში ჰყიდდა. ეს იყო მისი ცხოვრების ერთათ ერთი სახსარი. აი ამნაირი წყობილება იყო ინგლისში იმ დროს, როდესაც ად. სმიტი თავის თხზულების წერას შეუდგა. ახლა ადვილათ შეგვიძლია დავაფასოთ მისი ნაწარმოები, გავიგოთ, თუ როგორ ისარგებლა მან თანამედროვე ცხოვრების შინაარსით. როგორც ვთქვი, მანუფაქტურა იყო ინგლისში წარმოების უმთავრესი ფორმა და შრომის განაწილება ის საფუძველი, რომელზეცაც ეს წარმოება აღორძინდა. ადამ სმიტმაც სწორეთ ამით დაიწყო თავისი თხზულებაც, შრომის განაწილების ანალიზით დაიწყო პირველი წიგნი. „შრომის საწარმოო ძალის განვითარება და უმეტესი ნაწილი ხელობისა, ჭკუისა და მოხერხებისა დამოკიდებულია შრომის განაწილებაზე“. „რაც შეიძლება მეტი შრომის განაწილება წარმოებაში ყოველთვის შესაფერ მომენტებულ წარმოების ძალის განვითარებას გამოიწვევს, აი სწორეთ შრომის განაწილების ამ სასარგებლო თვისებამ გამოიწვია მისი შემოღება სხვა და სხვა წარმოებაში“. ამის დასამტკიცებლათ სმიტს მოჰყავს ცნობილი მაგალითი შრომის განაწილებისა ქინძისთავის წარმოებაში. ად. სმიტს ახალი არაფერი უთქვამს შრომის განაწილების შესახებ, მხოლოდ ის ფაქტი, რომ ის ასეთ ყურადღებას აქცევს შრომის განაწილებას, სრულიად ახასიათებს მას, როგორც მანუფაქტურის დროის ეკონომისტს. შემდეგ ის გადადის საქონლის ღირებულებაზე, რომელიც პოლიტიკური ეკონომიის სისტემაში უმთავრეს კითხვას წარმოადგენს. ენახოთ როგორ გაუსწორდა მას ად. სმიტი: „ყოველი ნივთის ღირებულება“ მისი აზრით, — „თუ პატრონს არ უნდა თავათ მოიხმაროს

ეს ნივთი, არამედ სურს სხვა ნივთზე გაცვალოს, უთუოთ უდრის შრომის იმ რაოდენობას, რომელიც მას შეუძლია იყიდოს იმ ნივთით“. მაგრამ სპიტმა ვერ გაატარა ბოლომდე ეს კემპარიტება, გადაცდა ამ სწორ გზას და აღიარა, რომ ეს აზრი კემპარიტი იყო მხოლოდ მაშინ, როცა საზოგადოება დაქონილი არ იყო: კაპიტალისტებათ, მუშებათ, მიწათმულობლებათ, ფერმერებათ, არამედ წარმოადგენდა თანასწორ მთელს და მისაწევრები, როგორც საქონლის უბრალო მწარმოებლები, მხოლოდ უცვლელიდნ ერთმანეთს საქონელს, დღეს კი საქონლის ღირებულება უდრის შრომის ხელუფასს, წმინდა შემოსავალს და ჩნტას ერთათ შეერთებულს; ეს სამი ნაწილ შეადგენს საქონლის ნამდვილ ღირებულებას. მიზი აზრით ეს განსხვავება წინააღმდეგ და აწინდელ ღირებულების შრომის წარმოდგა იქიდან, რომ დღევანდელი ბურჟუაზიული შრომა დამოკიდებულია შრომის განაწილებაზე. მხოლოდ სმიტს ავიწყდება, რომ შრომის განაწილებისთვის სრულიად გაცვლა არ არის საჭირო. ჩვენ კარგათ ვიცით მაგ. რომ ზოგერთ ხალხში შრომა განაწილებულია, ხოლო გაცვლით კი არაფერს ცვლიან. ამნაირათ სმიტმა ვერ ახსნა, ვერ გამოარკვია ღირებულების ნამდვილი წყარო; შრომას სწორეთ ის ნაწილები დაურთო, რომელიც თვით შრომისაგან წარმოიშობიან და ზედმეტი ღირებულების შექმნილი სიმდიდრას მხოლოდ სხვა და სხვა ფორმას წარმოადგენენ.

ად. წულუკაძე.
(შემდეგი იქნება)

სხვა-და-სხვა ამბავი.

პარასკევს, 26 ნოემბერს, შესრულდა ასი წელიწადი მას შემდეგ, რაც საქართველოში რუსეთის ჯარი შემოვიდა, ამ დღის საპატივცემოთ შტაბ როტმისტრმა ბ. ესაძემ ბროშურა გამოსცა, საცა აღწერილია თუ როგორ ვაკირებულ მდგომარეობაში ჩაეარდა მეფე გიორგი მე. XII, როგორ გაგზავნა თ. გარსევან ჭავჭავაძე რუსეთის იმპერატორ პავლესთან დახმარების სათხოვნელათ. აქვე მოთხრობილია ღენერალ-მაიორის ლაზარევის ჩამოსვლა თფილისში თავისი ჯარით.

ამ დღეებში დეპუტატ ამბავი მოიტანა, რომ მოსკოვის უნივერსიტეტიდან 486 სტუდენტი დაუთხოვიათ სწავლი გადასახადის შეუტანლობის გამო.

სიღნაღში ამ დღეებში გაუღიათ ქსენონი ორი საწოლით.

3) К. Марксъ Капиталь т. I ст. 628.
4) Кампфмейеръ. Изъ исторіи нѣмецкой культуры. ст. 12.

ყარსის რკინის გზა გადაეცემა ამიერ კავკასიის რკინის სამმართველოს 27 ნოემბერს.

ამ ქვაშათ თფილისში იმკოფება ცნობილი მეთილისმე კარიდი. მან უკვე ორჯელ გამართა ცირკში საღამო, რომელზედაც ლახი ბლოსათ დაესწრო. დღეს ამგვარსავე დილას გამართავს მოსწავლეთაოვის.

შავი ქვის მუშაობა ამ ქვაშათ თოვლისა და წვიმების გამო ცოტა შეჩერდა. საკუთრათ ქვის გამოღება მადნებში რსევ არის მცირეოდენი ნაკლებობით, ხოლო ვადმოტანა მადნებიდან ქიათურაში გაძნელდა გზების წახდენის გამო. მარგანეცის მწარმოებელთა კრების ხარჯით ზოგიერთი მადნების გზა მართალია გააკეთეს შარშანვე, მაგრამ ისე ცუდათ გაუკეთებიათ, რომ ხელახლათ უნდება შეკეთება, ამ გზის უფარვისობის მიზეზით ჩაღვადრები და მეურნეები ვერ მუშაობენ. მაინცა და მაინც ქიათურის საწყობებზე ამ ქვაშათ ჩვიდმეტ-თერამეტი მილიონი ფუთი შავი ქვაა. ხმა გავარდა ქიათურაში, რომ სამერმისოთ ორმოცი მილიონი ფუთის მოთხოვნილება იქნებაო.

კვირას, 21 ნოემბერს, საზოგადო კრება იყო თფილისელ ხელოსანთა ამხანაგობის „შრომი“-სა. კრებას უნდა ამოერჩია ორი წევრი გამგეობისა და ორი მისი კანდიდატი, რადგან „შრომა“ ს წესდებით ხუთ-ხუთი წევრი უნდა ჰყავდეს და სამი კანდიდატი და ამ ხელათ-კი სულ სამი წევრი ჰყოლია და ერთი კანდიდატი. არჩევანს შემდეგ კრებამ ხმის უმეტესობით დადგინა საზოგადო მოგებიდან 15% მიეცეს ჯილდოთ გამგეობის იმ წევრთ, რომელთაც გარდაკვეთილი ჯამაგირი არა აქვთ, და 10% — სარევიზიო კომისიის წევრთ დასასრულ, კრებაზე ლაპარაკი აღიძრა სახელოსნო შეგირდებისა და იმათი მდგომარეობის გაუმჯობესობის შესახებ. კრებამ ამოირჩია კომისია და ამ კომისიას მიანდო გამგეობასთან ერთათ შეიმუშაოს წესები შეგირდების აუენისა და შენახვის შესახებ.

ხუთშაბათს, 25 ნოემბერს, ჩენი ცნობილი მსახიობის, ვასილ აბაშიძის საბენეფისოთ, წარმოადგინეს პირველათ ახალი პიესა, „ქორწილი სოფლათ“ და ვოდევილები „ბიძიასთან გამოხუმრება“ და „მშენიერი ელენეს მაძიებელი“.

ეს პირველათ არ არის, რომ ვ. აბაშიძეს ისეთი პიესები ამოერჩიოს თავის საბენეფისოთ, რომელშიაც თითონ სულ მცირე და უფერული როლი ჰქონოდეს, მაგრამ ეს პირველათ არის, რომ მობენეფისე ისეთ

პიესას დგამდეს, რომელშიაც თითონ სულ არა აქვს როლი. ასეთი იყო პიესა „ქორწილი სოფლათ“; ვაბობთ, „პიესა“, თუმცა ეს პიესა კი არა, უფრო ერთი პატარა სურათია, ისიც ცხოვრებიდან კი არა, ბცაგარლის სხვა და სხვა პიესებიდან ამოღებული. რ. ც შეეცება ვოდევილებს, ორივე ისე მოწყენილი აქვს საზოგადოებას, რომ მხოლოთ საყვარელი მსახიობის, ვ. აბაშიძის სახელს შეეძლო იმდენი საზოგადოება მიეზიდა ამ პიესების დადგმით. თვით მობენეფისე როგორც ჩვეული ვართ ისე კარკათ ვერ თამაშობდა. მაგრამ მაინც საზოგადოთ მსახიობები გვარჩინათ იყვენ მომზადებული და სასიამოვნო შთაბეჭდილებას ახდენდენ. ქ. ანასტ. აბაშიძემ ყველას გული მოიგო თავისი ცოცხალი, მკვირცხლი და გაბედული თამაშით. თავისი როლის შესაფერი შესრულებით საზოგადოების ყურადღება მიაქცია აკრეთვე ქ. ჩერქეზიშვილისამ. რაც შეეცება ბ. ნ. გედევანოვს, მას სრულიად არ შეფერება ქართველი ტეტების როლები და იმედია, აღარც მოჰკიდებს მათ ხელს.

ქ. საფაროვისამ, როგორც ყოველთვის, ახლაც კარკათ ითამაშა ბიძიასთან გამოხუმრებაში და ახლაც ერთხელ კიდევ გვასიამოვნა თავისი სცენაზე გამოსვლით.

მობენეფისე აღტაცებული ტაშის კვრით მიიღეს და საჩუქრებიც ბლომთ მიართვეს.

აკვალის“ კორესპონდენციები.

ქუთაისი. 1) თეატრალური სეზონი ქუთაისში გახურობულია. ყოველ კვირა უქმეს ქალაქის თეატრში ან დრამას, ან კომედიას თამაშობენ. როგორც „აკვალის“ მკითხველებმა იციან, აქ არის ქართული დრამატიული დასი ბ. ალექსევე — მესხიშვილის გამგეობით და მისივე მონაწილეობით. გენდა მკითხველს გაუზიაროთ ცოტა რამ ჩენი შთაბეჭდილებებიდან.

მთელი დასი შეიძლება ოთხ ნაწილათ გაიყოს. პირველში შედის ალექსევე - მესხიშვილი; მეორეში ქ. ნ. ჩხეიძე; მესამეში ბ. ბ. ბალანჩივაძე, დ. ჩარკვიანი, ქ. ივანიძე და თუთბერიძე; მეოთხეში ქ. ქ. გვეტაძე, მდივანი, ჩიქოვანი, ბ. ბ. აბულაძე, ტყემულაშვილი, გრ. ჩარკვიანი და ბოკორიშვილი.

1) აკვალის ზოგიერთი აზრი არ ეთანხმება, როგორც თვითონაც აღნიშნავს, წინაჩდეჲ კორესპონდენციაში გამოთქმულ აზრს. ვუკვლავთ იმ მოსაზრებით, რომ ეკვლას მიეტყეს საშუალება თავისი აზრი გამოთქვას ჩვენ ასევე სასიამოვნო.



დაიწყებ უკანისკნელიდან ქ. მდივანი ახლათ არის გამოსული სცენაზე; ითამაშა აქ ოთხჯერ თუ ხუთჯერ, მაგრამ ესეც საკმარისია, რომ რაიმე აზრი გამოეთქვათ მათ. „კვალში“-აც იყო ამას წინეთ ბ. შაფია—დიას რეცენზია, რომელშიაც სხვათა შორის ის ქ. მდივანის თამაშსაც ეხებოდა, მე მგონია შაფია—დიას აზრი ძალიან შემცდარია; მართალია, ქ. მდივანს მეტათ თავისუფლათ უკავია თავი სცენაზე, ეტყობა ძრიელ თამამია, გამბედავი, მაგრამ ეს თავისუფლათ თავის დაკავება არტისტიულ სითამამეს სრულებით არ მოგვაგონებს. ქ. მდივანი როლის ზეპირათ სწავლობს, როლის აზრს კი არ უყვრდება; ის პიესის იდეას არ აქცევს ყურადღებას; ის თამაშობს ისე, როგორც რომელიმე მომართული საკრავი. სად ხმა უნდა ასწი-დასწიოს, სად გაოცდეს, სად შეწუხდეს, სად გაიხაროს,—ქ. მდივანს ეს არ აქვს წინდაწინე განსაზღვრული. მიმიკისა მას არა ესმის რა; არც ხმა აქვს სასცენო, მაგალითათ მას არ ეხერხება აწეული ტონით ლაპარაკი. არაერთი სიცოცხლე, მიხერა-მოხერა, სახის გამომეტყველება მას არ აქვს. არ ვიცი ბ. შაფია—დიამ საიდან გამოჩნრიკა ქ. მდივანის მკაფიო ხმა, მოხდენილი მოძრაობა, სიცოცხლით სავსე თამაში, ერთი სიტყვით სცენიური ნიჭი.

მეოთხე ჯგუფის დანარჩენ არტისტებზე მე მხოლოთ მოკლეთ ვიტყვი, რომ ისინი მეტათ სუსტათ თამაშობენ. ბ. თუთბერიძე სწორეთ რომ შესაცოდებელია როგორც არტისტი. ეტყობა ის სერიოზულათ ეკიდება საქმეს, როდესაც სწავლობს, პიესის ერთიანობის დაცეც უნდა, მაგრამ რა ჰქნას, როდესაც ღმერთს მისთვის არაერთი სცენიური ნიჭი არ მიუცა. ქ. ივანიძე დიდი ხანია რაც სცენაზე გამოვიდა, მაგრამ წინ შევლელია მის თამაშს ძალიან ცოტა ეტყობა. ყოველთვის თითქო რაღაც აწუხებს, სულ ჯაფრიანი და თავ-ჩაღუნული ლაპარაკობს; სცენაზე გამოსვლისთანავე ერთ რომელიმე ტონს რომ აიღებს, მერე, რაც უნდა მოხდეს, კალოს აღარ გამოიცვლის. საზოგადოთ კი ანსამბლს არ ახდენს - ბ. დ. ჩარკვიანი პირველ საყვარლის როლს კარგათ ითამაშებდა, ნამეტანი თვალების ბრიალი. ხელების ქნევა, რაღაც რაინდული მხერა-მოხერა რომ არ უყვარდეს. მე არ მინახავს, რომ მას სცენაზე სადათ თავი დაეჭიროს, და ამისთვის მისი თამაში ყოველთვის რაღაც ძალ დატანებულია. ბ. ბალანჩივაძე ზოგიერთ როლებს საუცხოვოთ თამაშობს, მეტად რე იმერელს და კვლავ თხელა ზებერს მის თამაშს დაკვირვება და როდის შეთვისება ეტყობა, ხოლო როლი კი იმან თავის დღეში კარგათ არ იცის, და ეს უხდენს თამაშს, ქ. ნ. ჩხეიძე აქაურ

დასის პრიმადონათ ითვლება, და ამას ის კიდევ იფერებს. როლის ზედ-მიწევნით შესწავლა, პიესის დედა-აზრის შესისხლ-ხორცება, ყოველივე ნაბიჯის გათვალისწინება, ხმის აწევა-დაწევა, ლამაზი მიხერა-მოხერა და ზედ ცოტა არტისტიული ტალანტი შეადგენენ ქ. ჩხეიძეს თვისებებს. ეტყობა ის ყოველთვის მართლაც ემზადება სათამაშოთ და გულ-გრილათ საქმეს არ ეკიდება. თუ კი ქ. ჩხეიძეს სიმპატიური როლი აქვს, მაშინ ის ნიჭიერათ თამაშობს; მისი თამაში შიგ გულში ხედება მაყურებელს; და თუ კი მას ანტიპატიური როლი მისცეს, მაგ. გარყენილი ქალის როლი, მაშინ რაღაც აკლია მის თამაშს, ის როგორღაც რაღაც ვერ შედის, მას ყოველ წუთში ახსოვს, რომ ის გარყენილ ქალს თამაშობს, ამისი მას როგორღაც რცხვენია და მისთვის სრულ შთაბეჭდილებას ვერ ახდენს მაყურებელზე. ეს იმას ნიშნავს, რომ ქ. ჩხეიძე ნამდვილი არტისტიკა ჯერ კიდევ არ გამხდარა; ის სცენაზე ვერ იფიქრებს, რომ ის არტისტკას გარდა ჩხეიძის ქალიცაა. იმდღის ამ ნაკლსაც გაისწორებს. ეს მით უფრო თამამათ შემძლია ეთქვა, რომ წრეწარდელი მისი თამაში დიდი ნაბიჯის გადადგმაა.

დაგვიჩა ბ.ნი მესხიშვილი. თუ კი რომ შეიძლება ეთქვათ—არტისტი გენიოსია, ეს სახელი სწორეთ ამას ეკუთვნის. მე მგონია—მთელ რუსეთში ბ. მესხიშვილისთანა არტისტი არ მოიპოვება. ჩენი ქვეყნის შველი იუფინი (სუმბათაშვილი) ხამ რუსეთში საუკეთესო არტისტიულ ძალათ ითვლება; მე რომ მკითხოთ, ბ. მესხიშვილი მას არ ჩამოუყვარდება და ჯობს კიდევ თქო რომ ეთქვა—გადამეტება არ იქნება. ეს უფრო რაღაც გულ ახლილათ თამაშობს, უფრო პოეტიურათ და შთაბეჭდილებასაც უფრო პირდაპირ (непосредственное) ახდენს მაყურებელზე. აი ამან შეგვიძლია ეთქვათ, რომ ის სცენაზე მარტო არტისტი და არა არტისტი და მესხიშვილი ორივე ერთათ. დაუბრუნეთ მას მისი ხმა, და მაშინ ის სადაც გინდათ ათამაშეთ, — საუკეთესო არტისტებს ჩაჩრდილავს. მაგრამ იმას რომ ხმა ჰქონდეს, მაშინ ხომ ქუთაისის სცენაზედაც აღარ ითამაშებდა, სადაც მისი ფასი არ იცან. სწორეთ რომ გასაოცარი ხალხია ეს ქუთათურები! ნეტა რა აინტერესებს ამ დალოცვილებს! ერთათ ერთი გაართობი ადგილი—თეატრი გვაქვს, და იქაც არ დაიარებიან. ამათ თეატრზე უფრო ფოკუსები მოწონთ. ჩამოვიდა აქ ვიღაც მაწანწალა ფოკუსნიკი, და თეატრიც მაშინვე აივსო მაყურებლებით; ჩამოვა ცირკი და იქაც ხალხი აკლდება. —თამაშობს ქართული დრამატიული დასი, თამაშობს მესხიშვილი, —თეატრი ცარიელია; ჩამოვიდნ მომღერლები მოსკოვის საიმპერატორო ოპერადან, —ქუთათურები გვერდითაც არ გაკარებიან.

ამტყუნებენ ბ. მესხიშვილს, რომ იმას რეპერტუარი არ უფარგაო. მართალია, ხშირათ დგამს ბ. მესხიშვილი მეტათ უშინაარსო ისტორიულ პიესებს, მაგ., „სამშობლო“, „ქართველი დედა“, „კონსტანტინე ბატონიშვილი“, და სხვ. მაგრამ რა ჰქნას მესხიშვილმა თუ კი ამისთანა პიესების მოყვარული ხალხი ბევრია ქუთაისში, და ეს მას სულს უდგამს. როდესაც შინაარსიან, ახალ პიესებს თამაშობენ, თეატრში არაფერს დაიარება და მოდი და ამისთანა პირობებში ანტრეპრენიურ ხრიკებს ნუ მიმართავ. მესხიშვილი ბევრ ლონისძიებას ხმარობს, რომ საზოგადოებას ასამოყუნოს: თითონ თითქმის ყოველთვის თამაშობს, მოჰყავს თფილისიდან საუკეთესო არტისტები: კ. ყოფიანი, ე. აბაშიძე, ქ. ანდრონიკაშვილი, ნ. გაბუნია-ცა გარლისადა სხ., მაგრამ ქუთათურები მაინც ვერ მიიტყუა და ვერა.

უკანასკნელათ არ შემოდლია არ შევნიშნო, რომ რეჟისორის მზრუნველობა და ყურადღება დასს სრულებით არ ეტყობა.

Studiosus.

გოროდოკი (კინტრის განყოფილება). გოროდოკი აკრავს ქ. ბათამს სამხრეთს მხრივ, შუა-გულ ბაზრიდან ორი ვერსტის მოშორებით. პირვანდელ აქაურ მოსახლეებს შეადგენენ სამხედრო „ოსტაკაში“ გამოსული პირები. აქაურ მკვიდრთა რიცხვი (კომლათ) 140 აღემატება, ამ.თი დიდი უმეტესობა რუსობაა, ამათ განაგებს მკვიდრთაგან ამორჩეული მამასახლისი (კინტრის გაკაცს ზედამხედველობით), აქეთ ორ-კლასიანი ნორმალური სასწავლებელი ქალ-ვაჟთათვის (სადაც 70 80 შევირდი სწავლობს ორივე სქესის) და იქვეა სამხედრო ჯარის ეკკლესია. დღეს აქაურ მცხოვრებთა უმეტესობა სამსახურის კაცებია, ზოგნი ქარხნებში მსახურებენ და ზოგნი კიდეც სხვა-და სხვა დაწესებულებაში, ზოგმა ვაჭრობასაც მოჰკიდა ხელი, რსე კი აქაურ მოვაჭრეთა უმეტესობას დროებით მცხოვრებლები შეადგენენ. იშვიათათ შეჩვენები აქაურ მკვიდრს, რომ მ—4 და ზოგს მეტიც მონარჩენი ოთახი არ ჰქონდეს, რასაც აქირავენ მსურველებზე კარგ ფასათ. უმეტესობა ოთახის დამქირავებელთა ქარხნის მუშებია და დიდ-ძალიცაა აქ იმათი რიცხვი.

გოროდოკში მოზრდილთათვის არაფითარი გასართობი და გონების აფარჯიმო არ არის. ასე რომ გოროდოკი, ბარცხანა და ნოვისვეტი გონების საზრდოს მოსაპოებლათ ჯერ არც-კი დაფიქრებულან. სამაგიეროთ ლუღნანები და მაგარი სასმელების სავაჭროები და იმათი ნაყოფი რევოლუერ-ხარჯლობია აქაც ხშირია, მხოლოთ ნოვისვეტს ვერ შეედრება და ბარცხანას კი გადააჭარბებს ამ დროებით.

ბათომელ დღიურ მუშათა მთელი რიცხვი სამ ალკოგოზა მოთავსებული, ბარცხანა-გოროდოკ-ნოვისვეტში აქაურების ჩვეულება — მოქმდება ჩვენ უკვე გავაცნეთ მკთხეველებს, თუმცა კი ძლიერ სუსტათ. აქაურობაზე ბევრი რისამე თქმა შეიძლება, რომელიც მუდამ გეჩხირება კაცს თვალში, მარა ამაზე — მერმე გვექნება კიდეც ლაპარაკი. ახლა ჩვენ მხოლოთ პატარა მუშებს (ბავშებს) მივხედოთ. ცხოვრების პირობებმა და მისგანვე გამოწვეულმა ათასმა საჭიროებამ დიდებთან ერთათ პატარებიც აიძულა, რომ მიეტოვებიათ კერა და ლოკმა პურის საძებნელათ აბარგებულიყვენ; რადგან სხვა გვარი მომზადება იმათ უმეტესობას არა ჰქონდათ რა, ისევე ფიზიკურ შრომას მიმართეს ქარხნებში, რაც სრულად აუტანელი და დამაფათმყოფებელი შეიქნა მათთვის ქარხნებში. რომ ცუდი დღე ადგათ და ადგილათ ამაზე, უკვე იყო მოხსენებული, მარა არც ქარხნებს გარეთ არიან სასურველ მდგომარეობაში. ისინი ცხოვრობენ მოზრდილ მუშებთან ერთათ, ესენი კი ამ პატარებს თავის მოსამსახურეთ იხდიან. ასე რომ მ—4 საათს აქაც არ აქეთ თავისუფლება. ამას გარდა პატარაები ამ დიდების ყოველ მოქმედებაში მიმბაძველები არიან, ბოლოს ნამდვილ მათ „კოპიოთ“ ხდებიან და იმათი უმეტესობა ქეფთობა-ბანქობია-ნარდობაში ატარებენ დროს.

შეგნება-დამზოგველობაზე იმათთან ლაპარაკი კედელზე ცერცვის შექრას მოგვაგონებს. მართალია დიდი არაფერი არა აქთ დასაზოგავე, მარა ნარდ-ბანქოში წანაგებიც ჯობდა სულ არარაობას. ჩემთან სხვაც ბევრია იმის, მოწამე თუ დაუსრულებელმა ქეფთმა-სად და რადღე-ში მიიყვანეს ეს ახალგაზდები, აგრეთვე მოწამე არიან იმისაც, რომ ნარდ-ბანქოს წყალობით რამდენი მათი ამხანაგები არიან საძაველ მდგომარეობაში, იცნან ისიც, რომ ერთმა მათგანმა კი დროს ნაშოვარ ფულით აგებული სახლი წააგო კარტში, და ათაი ამგვარები. ნუ თუ საკმარისი არაა ამდენი უბედურება ამ უსარგებლო ჩვეულებით გამოწვეული?

ცოცხალი ნიკოთა.

კვირიდან კვირამდე

არ გვინდა ინტელიგენტი. — შეტყობა-შეჯლის სკოლა. — ახალი ქსებუა. — ქორწილი.

რეკორც იყო მოვლო ბოლო! დასრულდა დაუსრულებელი კრებები! გამოიჩევა შუამავლის ბედობალი! კვირას, 21 ნოემბერს, იყო დანიშნული უკანასკნელი კრება „შუამავლისა“; შეიკრიბენ „შუა-

მავლის* დამტირებელი და აირჩიეს თავმჯდომარე. — „მოველევები აღმასრულებელი ფურცლებით კარგებზე გვედგია, სამასი თუმანი ნისია მოსაკრეფია, მაღაზიაში აღარაფერია და პატენტის ასაღები ფულიც არსადაა, — აი დღევანდელი მდგომარეობა „შუამავლისა“, განაცხადა თავმჯდომარემ. შეიქნა კამათი — დამარხობთ თუ ზეზუღათ დაღვს „შუამავალი“. ამან ეს თქვა, იმან ის, საერთოთ გამოიკრევა, რომ ყველას ხელები დაუბანია და იმედი დაკარგვია „შუამავლის“ გამობრუნებისა. — „ძმებო! „შუამავლის“ სიკვდილი და ჩვენი თავის მოჭრა ერთი იქნება, — თქვა ერთმა ორატორმა, — ნუ ეჭვით სირცხვილს, ნუ გავსდებით ქვეყნის თითოთ საჩვენებლათ! ჩვეყნოთ სათავეში სანდო კაცი, ინტელიგენტი, და საქმეც წალმა დატრიალდებოდ. წამოდგა ერთი არა ინტელიგენტი; „ნუ გამაგონებთ ინტელიგენტის სახელსო, გაბრაზებით წამოიძახა მან და სკამს მაგრათ მუშტი დაჭრა, — ახლაც ყურებში მადგას ბ.ბ. კარბაშვილის და როსტომაშვილის თბილ-თბილი სიტყვები! რა გნებავთ რომ არ დაგვიბრდენ?! და დღეს როცა საქმეს სული ხდება, ორივე დინჯათ სდუმს არა, ბატონებო! ინტელიგენტებმა დაძავეს ეგ საქმე არა! იმათ სახელს ნუ გამაკონებთ! „ბევრა არაყუნა ზარა თავმჯდომარემ, ანაუბრდენ ინტელიგენტებიც, მაგრამ ორატორმა თავისი მწარე სიმართლე მაინც დაასრულა, კამათი ძლიერ გამწვავდა, მაგრამ საქმეს კი არა ემეფლა რა, საიდნაც არ შემოუარეს კითხვას, ყოველგან ფული შეიქნა საჭირო და უფლი კი არსად იყო. „ხალხნო! ეიშოგოთ 10 — 50 თუმანი! ნუ ეჭვით სირცხვილს ქვეყნის წინაშე!“ გასმა მგრგინიანი ხმა საზოგადოების მდივნისა. კრება სდუმს. — „ნუ თუ ისე დავეციოთ სულით, გველატაკდით ქონებრივით, რომ 50 თუმანს ვეღარ მოვაგროვებთ ჩვენ წრეში?“ კიდევ ისმის ენერგიული ხმა მდივნისა. კრება კვლავ სდუმს. ვინ იკისრებს თავის წვლილის შემოტანას?“ ეკითხება კრებას დაჟინებით მდივანი. ყველამ ხელეზი გაასაფსავა. ბოლოს კრებამ დაადგინა მოგროვდეს ნისიები, აიღონ პატენტი, დეე „შუამავლის“ კარი ღია იყოს, ვის რას ართმევს? თუ მოვალემ შავ შესვლა მოინდომა, რას წაიღებს, რაც არაფერია?! მანამდის კი ბ. ალხაზიშვილმა ახალი წესდება შეადგინოს, 20,000 მანეთი მოაგროვოს და საქმე უფრო კარგ ნიადავზე დაეწყეთო. ამნაირათ ყველაფერი წესდებას მოახვიეს და სხვამ ყველამ პილატესებრ ხელი დაიბანა.

* *

„შუამავლის“ საქმე ავია თუ კარგი ვიციოთ მაინც, მაგრამ ამ პეტრიაშვილის სკოლის რომ არაეინ აა. აფერი უწყის?! საოცარი ლტოლვილებია ამ მეცხრა-


მეტე საუკუნის მიწურულში კრძო საკუთრებისა. თუ ვისმე რამე მიაბარე, მაშინვე „ჩემს“ დაარქმევს; აი პეტრიაშვილსაც ჩავარდნა ხელში ერთათ-ერთი ქუთაისის პირველ დაწყებითი სკოლა და ხან წალმა უზამს პირს და ხან უკუღმა. ერთი საცოდავი პარალელური განყოფილება მიუმატეს შარშან და მთელი წლის განმავლობაში კლასის ხან უკანა კარს შეუღებდა მასწავლებელს და ხან წინას — შენი განყოფილება უნდა დავეტოო. სკოლის ბიბლიოთეკაც რაც პირველში იყო ისევე ის არის, თუმცა ბიბლიოთეკისათვის ყოველ წლივ ფული შემოდის. ბიბლიოთეკა მე ვარო, ამბობს თურქე სმოტრიტელი. პედაგოგიურ კრებასაც უარ ჰყოფს თურქე — კრებაც მე ვარო. ეს სკოლა ხომ „ჩემია“ და როგორც მინდა ისე ვატრიალებო.

* *

და ავი ვართავაც როგორც სურს ისე დატრიალობს „ივერი-ს“ ფურცლებზე (ვინ უზამს კანტროლს?) და „კვალის“ თანამშრომლებს სულ ბღღვირს ადენს! მთელი სამი ფელეტონი ვადაჭრელა კრიტიკოსმა, რამდენ დროსა და ენერგიას დაჰკარგავდა, რამდენ ქალაქდასა და მელანს გააფუჭებდა და მერე რისთვის ყველა ეს? იმისთვის რომ ეთქვა: მე ჟორდანიასზე ნაკლები ბიჭი როდი ვარ, თუ ნებას გამოვიდეს ვაჩვენო ჩემი მკლავის ძლიერებაო. მომილოცავს. სამშობლოვ, ახლო ვსებუას მოვლენა. ჩვენ განთქმულ მოჭიდავე ვსებუას ცალი ხელი ხომ სრულიად გაფუჭებული ექვს, მის მაგიერათ აი, ვართავაც მოგვიდინა. როცა ვართავაც ვაიძხის — გამოვიდეს ნოე, ვაჩვენებ ჩემ ძალასო, მე დარწმუნებულნი ვარ, ვართავაც ფიზიკურ ძალაზე ლაპარაკობს, „კვალის“ პუბლიცისტს საჭიდაოთ იწვევს, თორემ არა მგონია, რაც უნდა გაბედული იყოს ვართავაც, ვინმე რამე პოინციპიალურ ბრძოლაში გამოიწვიოს. იმ სამი ფელეტონის შემქნელი ისე არ გაბრიყვდება, ის ვინც პროლეტარიატის მოძრაობას გამხობით ხსნის, აბა რომელ პრინციპიალურ კითხვაზე გაბედავს კამათს?! არა! ის სწორეთ საჭიდაოთ იწვევს ჟორდანიას, მაგრამ ნოე რამ ახლა ავით არის! მოდი ისევე იმედ ვაცრუებული გამოიწვიე, ეს მით უფრო საინტერესო იქნება, რომ გონებრივი საგზლით ორივე თანასწორ ძალას წარმოადგენთ; ახლა ენახათ, ის ვითომ გრდნელია და ერთი შენი ფიზიკური ძალ ღონეც გვაჩვენე, მაგრამ ახლა კი არა, იანერში მომავალ ქორწილის საპატივეცემოთ.

* *

იქნება არც კი იცოდეთ, რომ აცნ. ფურც. თხოვდება. მე ცოდვილმა სიკვდილი ვუწინასწარბებ-



კასპის ვაღმა მხრის სურათები.

ყველე ამასწინეთ, მაშინ როცა თურმე საპატარძლოთ
 ირთებდა, ფერ უმარიდს იცხებდს, თვალ-წარბს
 ისურმავს. და მერე იცით ვის შეუერთა თავისი ბე
 დი? ჟურნალ „მოამბეს“. ავი ენები ამბობენ, ვითომ
 სიძე მზითვეს დახარბდა, სიყვარულს აქ ადგილი არა
 აქვსო. მზითვეი მართლაც საუცხოვეო აქვს თურპე:
 თორმეტ თორ მეტი წყვილი თეთრეულის გარდა მთე
 ლი „ცნ. ფურ.“ რუსულ-ქართული განცხადებებიც.
 მაგერში სასიძოსაც მშვენიერი პირის სანახავი მიურ
 თმეია: „მოამბის“ პირველ ნომრიდან ილიას დაუ
 სრულებელი „ცნაური ამბავი.“ ქორწილი დიდი
 და ბრწყინვალე იქნება. ძველგებურ ჩვეულების მი
 ხედვით დედოფალი თავ გადასაულებს მიიღებს. სხვა
 თა შორის ხმა ისმის, ვითომ მ. ნასიძე თავის კრი
 ტიკულ წერილებს მირთმევას აპირებს და ახნაზა
 როვი საკუთარ ლექსთა კონას მხოლოთ იმ პარო
 ბით, რომ ვართაგავა პრინციპიალურათ არ შევხოს,
 თორემ, შენი მტერი, გმინობის მეტი არაფერი შერ
 ჩება ხელში.

გ. ო.

ბ ე ლ გ ი ი დ ა ნ

ადგილობრივი თვით-მმართველ
 ბა. — მუშათა შარტია საბჭოებში. —
 „კომუნალური“ აჩქეენები.

(გაგრძელება). *)

მიუხედავთ მსა, რომ ბელგია დანიინურებულნი
 ქვეყანა და ევროპის სხვა სახელმ იუოთა შორის
 პირველი თუ არა, არც უკანასკნელი ადგილი უქა
 რავს, იგი სწავლა-განთლების მხრივ მაინც საკმაოთ
 უკან ჩამორჩენილია. ამ საუკუნის პირველ ნახევარ
 ში აქ წერა-კითხვა არ იცოდა მსხოვრებთა 50%
 ე. ი. ნახევარმა. მეოთხმოცე წლებში ამათი რიც
 ხვი შეადგენდა 38%⁰/₁₀₀-ს. დღეს ეს ციფრი, რასაკვირ
 ველია, უფრო მცირეა. დღეს მთელი ბელგია მოფე
 ნილია ყოველგვარი სახელმწიფო თუ კერძო სკოლე
 ბთ. არსებობს მრავალი საშუალო თუ უმაღლესი
 ტიპის სატეხნიკო, საინჟინერო, საინდუსტრიაო თუ
 საკომერციო და სხვა სპეციალური სასწავლებლები;
 საკაროლო ხელოვნებათა აკადემია, უმაღლესი სამ
 ხატერო სკოლა, საკაროლო კონსერვატორიები და
 სხვა სამუსიკო სასწავლებლები; გარდა ამისა ხუთი
 უნივერსიტეტი. არ ებობს 600-დე ბიბლიოთეკა-სამ
 კთხველო; ყოველ წელს იბეჭდება მრავალი წიგნ
 ბი; მართო პერიოდულ გამოცემათა რიცხვი ადუ

მატება 1,100-ს; სწავლა-განათლებლაზე იხარჯება წე
 ლიწ. დღეი 30 მილიონი ფრანკი ანუ 12 მილ. მანე
 თი. მიუხედავთ ყველა ამისა, რაკი ჯერ არ არსე
 ბობს საეალდებულო სწავლა, დღეს — როგორც უკვე
 შევნიშნეთ — კიდევ არიან ბელგიაში სწავლის გარეთ
 დარჩენილნი, წერა-კითხვის არ მცოდნენი. ეს კი ანაქრო
 ნიზმია (შეუსაბამო) თანამედროვე საზოგადოებისთვის.
 ეს გარემოება წინ ელობება ცხოვრების განვითარე
 ბა-წინმსვლელობას. ამიტომ მუშათა პარტია თხოუ
 ლობს შემოღებულ იქმნას საეალდებულო, სპეცნი
 ერო და უფასო სწავლა ყველა ბავშებისათვის 14
 წლამდის. სამეცნიერო-სწავლა ნიშნავს იმას, რომ
 სკოლასთან არაფერი საერთო ჰქონდეთ კლერიკალებს,
 რომ მოზარდი თაობა გათავისუფლებულ იქმნას
 კლერიკალების მომაკედიწებელ გავლენისაგან.
 სწავლა საეალდებულო უნდა იყოს ვინემ ბავ
 შ. 14 წლისა მოიყრებოდეს. თუ არ ასეთი ეალ
 დებულება, უმეტესი ნაწილი ღარიბი ბავშებისა სწა
 ვლას ვერ ეღირსება. ესენი ნ — ნ წლ-დან უკვე იძუ
 ლებულნი არიან თავისი საკვენი თითონვე იზო
 ვონ თავის პაწაწინა ხელებით. მერე, როცა ფაბრი
 კის ნაცვლათ სკოლაში იედიან, ვინ აცხოვრებს პა
 ტარა პროლეტარებს? მშობლებს ხომ მათა შენახვა
 არ შეუძლიათ? ვინ და საზოგადოება. საზოგადოე
 ბამ („კომუნამ“) უნდა მისცეს საქმელი, სასმელი და
 ტანთსაცმელი, ისე როგორც სასწავლო ნივთები. ეს
 მოთხოვნილ ება რამდენათმე უკვე განხორციელებუ
 ლია. ღარიბ შეგირდთათვის მთელ ბელგიაში სწავ
 ლა უფასოა. საკეები და სამოსელი კი ეძლევათ მხო
 ლოთ ზოგიერთ „კომუნაში“.

მუშათა პარტია თხოულობს აგრეთვე გაუმჯო
 ბესებულ იქმნას ობლებისა და ბედის ამარა მ გდე
 ბულ ბავშების აღმზრდელი დაწესებულებანი. ამას
 თანავე სრულიად გადასხვაფერებულ და გადაკეთე
 ბულ უნდა იქმნეს ეგრეთ წოდებული „საქველ-მოქ
 მედო ბიუროები“ (bureaux de bienfaisance).

„საქველმოქმედი ბიუროებისაგან“ მთელ ბელ
 გიაში წლიურათ იხარჯება მილიონ ნახევარი ფრან
 კი. 6 მილიონ მსხოვრებზე ამოდენა საქველმოქმე
 დო უფული სწორეთ რომ ბევრია, მარა ბევრია აგრე
 თვე ამ ფულის მიმღებნიც. რა ხალხია ეს უკანას
 კნელნი? ესენი არიან ეს ღარიბ ლატაკნი, რომელ
 თიც სხვის დაუხმარებლივ შიმშილით სიკვდილი ელისთ
 შარავზხაზე თუ არა, ელექტრონით განათებულ ქუ
 ჩაზე მაინც. 1) ასეთი სიღარიბე არ არის საკვირვე

1) თითქმის არც ერთ სსვა დასავლეთ ევროპის
 სახელმწიფოში არ არის მუშა ხალხი კონსომიურათ ისე
 ჰკისრულედი, როგორც ბელგიაში. თითქმის არც ერთ
 ვას არ არის ისე გრძელი სამუშაო დღე და ისე ხკლე
 ბი სამუშაო ფასი, როგორც ბელგიაში. ამის ერთ უახლო
 ბედეს მიზეზთაგანია კლერიკალების პატრონობა.

*) იხ. „კვლედი“ № 47.



ლი ბელგიაში, რადგან ეს ერთობ მდიდარი ქვეყანაა. ქველმოქმედების შესახებ მუშათა პარტია ასეთი აზრისაა: ქველმოქმედება თავის და თავათ უშინაარსო შემეცნებაა. ქველმოქმედება ანუ მოწყალება არ ეთქმის იმას, როცა იკრძა, თუნდ ხუთიოდე, გროშს აძლევ იმ გაჭირებულთ, ვისი ხელებითაც შექმნილია შენი სიმდიდრე. რაც შეეხება ქველ-მოქმედებას, როგორც საზოგადოებრივ საშუალებას სილატაკის მოსასპობათ, ამაზე აქ აღარ ლაპარაკობენ. თუ ეს გააშხილა ვი მემ, მას ან სულელათ ჩათვლიან, ან და ანაბანას ასწავლიან. ქველმოქმედებამ რომ თავის დანიშნულებას მიიღწიოს, ე. ი. დროებითი დახმარება აღმოუჩინოს შეუძლებელთ, ამისათვის „საქველ-მოქმედო ბიუროების“ და აგრეთვე „კომუნალურ“ საავთმყოფოების ნაცვლათ უნდა დაარსდეს სახელმწიფოს დახმარებით ყველა მოქალაქეთა (აქ ლაზაკიც მოქალაქეთ (თელემა) სავალდებულო დაზღვევა ავთმყოფობის, სიბერის და უსაქმობის, უმუშაოებათ ღარიბების (chômages) წინააღმდეგ. ამისთანავე მოხუცებულ და შრომაში დასაბრუნებულ მუშებს პენსია უნდა ეძლეოდეთ მხოლოდ ბურჟუაზიის ჯიბიდან. პროლეტარებს საკმაო წვლილი აქვთ შეტანილი ბურჟუაზიის კაპიტალში, რომ იმათაც კიდევ საჭირო იყოს რისამე გამოღება საპენსიო კასისათვის.

მუშათა პარტიის უმთავრესი მოთხოვნაა შეეხება შრომის პირობების გაუმჯობესებას. ზევთ უკვე მოვიხსენიეთ, რომ საბჭოს ხელშია ისეთი საქმეები, როგორც განათება (გაზა, ელექტრონი) მიმოსვლა, წყალი და სხ. მაშასადამე საბჭო, ან მისი მოიჯარადრე ასობით და ათასობით ამუშაებენ მუშა-ხელს. აქ საჭიროა დაკანონებულ იქნას სამუშაო ფასის „მინიმუმი“ (რ-ს ნაკლები არ უნდა ეძლეოდეთ) და სამუშაო ღრის „მაქსიმუმი“ (რ-ზე მეტს არ უნდა ამუშაებდენ) სამუშაო ფასის „მინიმუმით“ მიღებულია დაახლოებით 8 ფრ. (2 მ. 25 კ.), სამუშაო ღროს „მაქსიმუმით“ 8 საათი. გარდა ამისა, რომ მოიჯარადრეებმა არ დაარღვიონ ხოლომე ეს დადგენილებანი, საჭიროა დაინიშნოს მუშათაგანვე და მუშათაშორისვე არჩეული განსაკუთრებული ინსპექტორები.


პარტია იმ აზრისაა აგრეთვე, რომ საბჭო იძენდეს სახლებს და შემდეგ დაკლებული ფასით აქირავებდეს ანუ მიაყიდეს მუშებს. ეს მოთხოვნებიანი, მუშათა ხმოსნების მეცადინეობით რამდენათმე უკვე განხორციელებულია ზოგიერთ „კომუნაში“. რომ საბჭოებისაგან ხსენებულ მოთხოვნალებათა სისრულეში მოყვანას მეტათ დიდი მნიშვნელობა აქვს — ეს ცხადია. რამდენათაც უკეთესი შრომის პირობები, რამდენათაც უკეთესი ფასი ღებულობს მუშა და ნაკლებს მუშაობს, მეტი თავისუფალი დროთი სარ-

გებლობს, იმდენთ იგი უკეთესი მუშაა; იმდენათ უფრო მაღლა დას ზნეობრივათ უფრო განეთარებულა გონებრუათ, ე. ი. უფრო ცნობიერი და ენერგიული მომქმედია მუშათა საქმისათვის.

რაც შეეხება „კომუნალურ“ გადასახადებს პარტიის მისწრაფებაა შემოღებულ იქნას შემოსავალზე გაწერილი პროგრესიული გადასახადი 2).

დასასრულ, რომ ერთის მხრით, აცლებულ იქნას ყველა მოიჯარადრეებთ თუ ანონ-მურ (უსახელო) საზოგადოებ ს ცნობილი ბოროტ მოქმედებანი, და მეორე მხრით უფრო გაადვილდეს ყველა შრომის შესახები მოთხოვნალებათა დაკანონება: პარტია ელტვის: არავითარი საქმეები არ იცემოდეს იჯარით, არამედ აწარმოებდეს თვითვე საბჭო. საზოგადოათ, ეს უკანასკნელი, უნდა ადგეს იმ გზას, რომ მის ხელში გადავიდეს „კომუნის“ მთელი ეკონომიური და საზოგადოებრივი ცხოვრების მართვა-გამგეობა და შემდეგ თვითვე გადასხვაგვარდეს.

ქ. ბრესკლი. ლ. ღ.



მინსავს კაცი მღადადებუდი
 მღაღ ფრახებით მღაღ საქმისთვის,
 თავის სიკუეებით — თავის დამკები
 საკუთილ-დღეო იდეალისთვის.
 წვევლით და კრულვით, მუქაზა ბრახით
 გარსარებითა მტრისა მემოზუდი,
 მისი გიგმებით ეოკულ სიავას,
 ბოროტებისა გამქრებუდი.
 განსე ეს კაცი — გემო საქმისთვის
 იმ მტრს მეგობრათ აჭვიდებულად
 და იდეალი, მღაღი საქმე.
 უკუ მიკდო, დავიწკებულად.
 მის საქციედით, მის მოქმეებით
 ბეკრ კითილ კაცსა საქმეს აწვიდა,
 და ამას შემდეგ თავის თავს მაინც
 სიმარტლისათვის მებრძოლათ თვლიდა!
 რაღა აუხსნეს მისი გმარობა

2) ეს მდგომარეობს იმაში, რომ მეტი შემოსავლის მექონეს გადასახადი მეტი პროცენტი ჭჭონდეს დავისრებუდი. მაგ თუ ასი თუმნის შემოსავლის მატრონი ას მანეთზე ისღის 5 მ., 200 თუმნანი ისღის ას მანეთზე 10 მ. 400-ანი 20 მ. და აგრე ზევით.

და მაგონებს აზრები ფაქტთა,
 მასინ დიმიდით ასე წაწმობაქვა:
 რას იზამ, ძმაო, ხომ კაცნი ვართო!
 დიად, კაცია ამ ღრვის შვილი,
 ცბიერობისგან ნადგულ ნასვამი
 და თუმა ვიცი - ამისთანები
 არა უნდა, რა და სპი,
 მას იმედი მანც არ ქრება,
 მას მომკლესკენ უჭირავს თვალი,
 და იცის, რამა იქიდან მოვა
 გზა უარ-შირთ, სწორეთ სავალი.
 იცის ავი და მის გულში წმენა
 უფრო და უფრო იმაგრებს ფეხებს,
 და თავის ხმებსა ხან ტკბაულს, ხან მწარეს,
 ამ მომკლელის ხმებსა უერთებს!..

გ. გოგოლაძე.

ხალხის გულის მესაიდუმლოე.

(თხზულებები ეგ. ნინოშვილისა.)

(გაგრძელება *)

Иныхъ времянь, иныхъ картинъ
 Провижу я начало. ნეკრასოვი.

XI.

უიშვილი, ჩამწარდაძე, მუნჯადე სიმონა, მოსე მწერალი, დავით დროიძე, მამალაძე, — აი ის პირები, რომლებიც დაგვიხატა ნინოშვილმა ჩვენი ცხოვრებიდან. მისი კალმის საგანი იყო გლეხი, სოფლის ცხოვრება; მან დაგვიხატა ამ გლეხის მდგომარეობა, მისი გაჭირვება და უსამართლობა, რომელიც მის კეთილ დღეობას ძირს უთხრის; დაგვიანხება, თუ როგორ იცვლება სოფლის ცხოვრება, როგორ ანაწილებს სოფლის ხალხს სხვა და სხვა გარემოებანი. სოციალური პირობები, უსამართლობა, რჯულზე უმტკიცესი ჩვეულებანი და უმეცრება ის ფურციები არიან, რომლებიც გლეხის ოჯახს საძირკველს უქცევენ. ნინოშვილი რომ მესამოცე წლებში გამოსულიყო სამწერლო ასპარეზზე, ის ვერ დაგვიხატავდა ვაგია უიშვილებს, ჩამწარდაძეებს, დავით დროიძეებსა და მოსე მწერლებს. გლეხის გათავისუფლებამ

სოფლის ეკონომიური ცხოვრება ძირიანათ შეცვალა და, რაც დრო გადის, ეს ცვლილება თან და თან უფრო ვითარდება. ჯერ ბატონყმობის მოსპობამდე გლეხობა არ წარმოადგენდა ჩვენში ერთგვარ მასას; მართალია, აქ ვერ შეხედებოდით ერთი მხრით უიშვილებს, ჩამწარდაძეებს, მეორე მხრით დავით დროიძეებს და მოსე მწერლებს, მაგრამ განსხვავება მაინც არსებობდა; ის ელემენტები, რომლებიც ჩვენ დროში ასე გამოაშკარადენ, ბატონყმობის მოსპობამდე იყვნენ ჩვენ ცხოვრებაში, მაგრამ მათ განვითარებას უშლიდა ის გარემოება, რომ გლეხი ბატონის სრულ კუთვნილებას შეადგენდა; მეორე მხრით თვით ხალხიც იმ აზრის იყო, რომ „რაცა ვის რა ღმერთმან მისცეს, დასჯერდეს და მას უბნობდეს“—ო; ვინც არ დაჯერდებოდა თავის ხვედრს და წინ წაწეას მონდომებდა, მის წინააღმდეგ მთელი სოფელი ამხედრდებოდა. აიღეთ ს. მგალობლიშვილის ახალი მოთხრობა „წარსულიდამ“: გიგოლა გულიაშვილი, განა მომავალი დავით დროიძე არ არის ან მოსე მწერალი? ბატონყმობის დროს ამგვარი გიგოლები ბევრი იყვნენ, მაგრამ, როდესაც კანონი ამბობდა: „ყმისა ყველა ბატონისა არისო“, ჩვეულება ყმას თავის კეთილ-შენადენსაც კი უყიდდა ბატონის ვალში, ხალხს კიდევ ძალა ჰქონდა გიგოლასთანა პირები აელაგმა და წინ არ გაეშვა, გიგოლას დავით დროიძეთ გადაქცევა, რასაკვირველია, შეუძლებელი იყო, ბატონყმობია მოსპობით გლეხი თვითონ გახდა თავის შრომას პატრონი; ცხოვრებამ მას მიუსაჯა კერძო საკუთრება, მის მისწრაფებას ერთი უდიდესი დაბრკოლება მოცილდა; მაშინ ყოველი გლეხი დატრიალდა და კეთილ დღეობისაკენ გაეშურა; მაგრამ მხოლოდ გულიაშვილები იქცნენ დროიძეებთან და მოსე მწერლებთან; დანარჩენმა კი სიღარიბეს თავი ვერ დააღწია. ახალმა დრომ ფული კაბატონა, ყოველიფერი ფულს შეუწონა; გართულებულმა ცხოვრებამ თითოეულ ადამიანს, საზოგადოებას, მთელ ერს და სახელმწიფოს მოთხოვნილება გაუფართოვა; გლეხს ბევრი ხარჯი დააწვა კისერზე, ორი კვალი მიწა კი ყოველიფერს ველარ გაწვდა და გლეხის მდგომარეობა უკან და უკან მიდის. თუ სოციალური პირობები გლეხის კეთილდღეობას ძირს უთხრის, მოსე მწერლები და დავით დროიძეები ხელს უწყობენ სოციალურ პირობებს და გლეხის გაბოგანების დროს აახლოვებენ. თუ საუკეთესო გლეხები ველარ უძლებენ ცხოვრებას და იღუპებიან, როგორც ნინოშვილმა დაგვიანხება, როგორი უნდა იყოს უმრავლესობის მდგომარეობა? ამგვარათ სოფლის ხალხი იყოფა ორ ნაწილათ: ერთი დაადგა გაპროლეტარიატების გზას, მეორე ადგენს სოფლის ბურჟუაზიას, რაც იმას

*) იხ. „გაგალი“ № 47



ამტკიცებს, რომ ჩვენი ცხოვრება: კაპიტალისტური წარმოების გზას დადგა. ჩვენ დაეინახეთ, რომ მოსე მწერალს, დავით დროიძეს და დანარჩენ გლეხებს შორის დიდი განსხვავებაა, მაგრამ მსკაცვებაც არის; მოსე მწერალი არ შეადგენს დიდ გამოწაკლს გლეხობაში, მისი მსკაცვის სხეებიც არიან, გამდიდრების სურვილი მოსეზე ნაკლებათ არა აქვთ მორეული და, თუ მოსესავით ზიანი ვერ მოაქვს სოფლისათვის, იმიტომ რომ გამოცდილება და მოხერხება არ შეწყვეს. გლეხობაში ხანდახან არა ნაკლებ სისამაგლეს ჩადიან, ვიდრე მოსე მწერალი, თავის ინტერესების დასაცველათ: ასეთი მაგალითია „მოსე მწერალში“, „პალიასტომის ტბა“-ში; ყოველივე ეს კი იმას მოაწაფებს, რომ მოსე მწერლისა და დავით დროიძესთანა პირებს კიდევ ბევრს წარმოშობავს ჩვენი ცხოვრება. მართო მოსე მწერლები და დროიძეები არ ეხმარებიან სოციალურ პირობებს გლეხის დაღუპვაში; უსამართლობა და ბევრი დახვედებული ზნე-ჩვეულებანი არა ნაკლებ ზარალს აყენებენ ხალხს. ყოველივე ამას ზედ ერთვის ხალხის დამღუპავი ჩვეულებანი და დღევანდელი ოჯახი გლეხს თავზე ექცევა, შიგნიდანაც და გარედანაც ირღვევა; გაბრეილა ჩამწარდაძე, ტალო, ჯვრანი, ლიზა და სხვ. ასეთი ჩვეულების მსხვერპლნი არიან. სიბნელე, რომელსაც მოუცავს გლეხის გონება, ნებას არ აძლევს მას, ასეთი ჩვეულებანი უყუადღოს, და მისი კერის ჩაქრობას აუცილებლათ ხდის. გლეხი გასაჭირ მდგომარეობაშია, მაგრამ არიან ისეთი პირებიც, რომლებსაც მასი ტვრთის შემსუბუქება, მისი წყლულების დაამება, მისი გონების განსპეტაკება მიზნათ დაუსახვისთ; ასეთ პირებს ეკუთვნიან მცირიშვილი და ელისაბედი, ისევე ამ ხალხის გულ-დან გამოსულნი. ჩვენი არისტოკრატია, ეს ერთ დროს გლეხის „ბატონ-პატრონი“ ზოგიერთის მტკიცებით, რაღას შერება, როგორ შეჩერება გლეხის იარჯებს? შევლას ვინ ითხოვს, შევლას ვინ ჩივის: კდევ უფრო ამწვეებენ. ამ იარჯებს! ასეთი არიან ტარიელ მკლავაძენი, რომელთა ერთათ ერთ მიზანს პირუტყული ცხოვრება და სიამოვნება შეადგენს, მეტი არაფერი. ჩვენი ცხოვრება და ლიტერატურა ნათლათ გვიმტკიცებს, რომ ტარიელ მკლავაძეები ციდან არ ჩამოვარდნილან; ისინი ჩვენელა განვითარდენ ჩვენ ცხოვრებაში. ტარიელი ლუარსაბის ნამდვილი მემკვიდრეა, ლუარსაბის დროს რომ დაბადებულიყო, იგივე თათქარიძე იქნებოდა; ლუარსაბი კი ჩვენ დროში რომ დაბადებულიყო, ტარიელს შეძლება გარეგნობით ჩამორჩენოდა, თორეც სხვაში არაფერი. იმის განხილვა, თუ როგორ იცვლებოდა დროის განმავლობაში ლუარსაბ თათქარიძე, ძალიან შორს წავიყვანდა, მაგრამ მოკ-

ლეთ მაინც გადავადლოთ თვალი. ლუარსაბის ერთათ ერთი მიზანი თავის თავის სიამოვნებაა და პირუტყული კმაყოფილება, ტარიელის მიზანიც იგივეა; ორივე ამაში ხედავს სოცოცხლის დანიშნულებას. მათ ხასიათსა და მოქმედებაში თუ განსხვავება არსებობს, თუ ლუარსაბი ემზავსება გასუქებულ ღორს, რომელიც სხვას მაინცა და მაინც არ აწუხებს, ოღონდ კუჭი მაძლარი ექნეს, ტარიელი კი მშვიერი ლომივით დარბის, რომ მეტი მსხვერპლი დატანჯოს და ამით მეტი სიამოვნება დატყუოს ცხოვრებას, იმის ბრალია, რომ ისინი მოქმედებენ სხვა და სხვა დროს, მათ ხელთ სხვა და სხვა საშუალებაა სიამოვნების მოსაპოვებლათ; ამას გარდა ლუარსაბს ჩვენ მხოლოთ ხანში შესულს ვიცნობთ, ტარიელს კი ჯან ღონით საესე ახალგაზრდას. ლუარსაბი ცხოვრებს ბატონ-ყმობის დროს; ის იმდროინდელი კაცია, როცა ჩვენი ცხოვრება მარტივი იყო, როცა ჩვენში რუსეთის ცივილიზაციას ჯერ ფეხი ვერ მოემარგებია და ჩვენი თავადობის მოთხოვნილება შესამჩნევათ ვერ გაეფართოვებია. მართალია, ჩვენმა თავადობამ მესამოცე წლებზე გაცილებით ადრე იწყო ხელგაშლილი ცხოვრება, მაგრამ ლუარსაბი ძველებურათ არის აღზრდილი, მასში ძველი ზნე-ჩვეულება ძლიერია, ის სოფლის ბატონია, სოფელს არ გაცილებია, ახალ ბიუროკრატიას არ იცნობს და იმიტომ არც მიმბადველობის და ხელგაშლილი ცხოვრების გზას დადგამია; მისი მოთხოვნილება მარტივია; ის გაძლება, ლოგინზე გაკორდება, ან ბუზებს დათვლის, ან დარეჯანს გამოემასხარაება, ჩამოუგდება ფილოსოფიას იმის შესახებ, თუ რა საკმელი უკეთესია, ან ხეალ რა ეკამოთო და სრულ ნეტარებაშია; სხვა სიამოვნება მას არ უნდა, ამაზე მეტს ის არ ითხოვს. „გლახის ნამბობ“-ში ლუარსაბმა კარგა მოზრდილი ნაბიჯი გადადგა წინ. ის მოაცილეს კარჩაკეტილ ცხოვრებას, გააენეს ქალაქი, დაანახეს სხვანაირი ცხოვრება და იმანაც უფრო ხელგაშლილათ დაიწყო ცხოვრება, უფრო მეტი წყარო გამოანახა პირუტყული სიამოვნებისათვის. როგორც შემდეგი ლიტერატურა გვიმტკიცებს, ლუარსაბები უნივერსიტეტებშიც წავიდენ, მაგრამ დიპლომის მეტი ვერა მოიტანესრა: მეტს არც ეძებდენ და არც საჭირო იყო მათთვის; გონების განვითარება მათ არ აინტერესებდა, რამე იდეალები მათ არ აღელებდა; მათი ერთათ ერთი მიზანი იყო ბედნიერათ ცხოვრება, ფულებრს შეძენა მართო თავის კუჭისათვის, ამისთვის კი დპლომა სრული საკმარისი იყო. ამგვართ ლუარსაბმა სხვა და სხვა დროს მხოლოთ კანი იცვალა და ჩვენ დროში დიდებულიძეთ („ბნელო“), ტარიელ მკლავაძეთ და აბესალომ სალამთაძეთ („ირინეს ბერნიცი-

ბა*) გადიქცა 1). რადგანაც ტარიელი იმდროს ცხოვრებს, როცა ცხოვრება გართულდა, მოთხოვნილება გამრავლდა, ის უკეთაც სიამოვნებს, ვიდრე მისი წინაპარი — ლუარსაბი. ცხოვრებაში ტარიელი სიამოვნების მეტს ვერას ხედავს და არც ეძებს; ყველაფერში მხოლოდ იმას აფასებს, საიდანაც მეტი სიამოვნების გამოწოვა შეუძლია; ქალი მის თვალში მხოლოდ სასქესო მანქანაა; გარყვნილება, ლოთობა, სხვისი პიროვნების შელახვა, — ყოველგვარი სისაძაგლე, მისთვის ნეტარებაა.

ივ. გომარტუელი.
(შემდეგი იქნება)

ს ო ფ ლ ი ს ც ხ ო ვ რ ე ბ ა .

(სოფ. ნიგოთის გონებრივი მდგომარეობა.)

როცა სამკითხველო დაარსდა, თითქმის ყველასათვის ცხადი შეიქნა, რომ არსებობს და საჭირო ყოფილა წიგნების და გაზეთების კითხვა და წერაც გაზეთებში; პირველათ ბლომათ მიაწყდა ხალხი სამკითხველოს, დადიოდნენ კითხვის უცოდინარნიც, ანუ ისეთი მცოდნენი, რომელთაც კითხვაც ძალიან ეძნელებათ და კიდევ უფრო უჭირსთ წაკითხულის გაგება. აი ამისთანანი სამკითხველოში შემოდინან, თუ ისე შეგხედებიან, გთხოვენ წაუკითხოთ და გააგებიოთ რამე წიგნში ან გაზეთში დაწერილი ამბავი. რას აქცევენ ესენი ყურადღებას ჟურნალ გაზეთებში? უპირველესათ ყოვლისა მათ ენტერესებათ თავისი სოფლის ამბავი, რადგანაც მათი გონების ჰორიზონტი, თუ შეიძლება ასე ეთქვას, ვიწროა. თავისი სოფლის ამბავში მათ ის მოსწონთ, რაც შეეხება თავად აზნაურობას, სამღვდლოებას და სოფლის მოხელეებს. მოგვსენებათ, რომ ჩვენ მწერლობაში დიდხანია იწერება წერილები ექვარ ჩარხთა წინააღმდეგ, რომ ამათ (ექვარ-ჩარხთ) გალატაკეს და სოცოცხლე გაუჭირეს ისედაც გაჭირებულ ხალხსო. მარა ეს ცხოვრებაში თვით ხალხს ჯერ მაინცა და მაინც არ უგრძნიათ. ეპკრების შესახებ რომ წერილი იქნება გაზეთში დაწერილი, იმას დიდათ არ აქცევენ ყურადღებას, რაც უნდა გარკვევით იყოს აწერილი მათი გაყველფის თუ მოტყუების ამბავი. ამასთან უნდა მოგახსენოთ რომ ძნელი შესაგნები არის ის თუ რით ან ვისით მდიდრდება ეპკარი, და ეს რომ სოფლებს ჰკ-

თხო ასე გიპასუხებს: რით მდიდრდება და მისი შრომა-მეცადინეობათაო. ზოგ წრეგადასულ მევახშეთა შესახებ თუ არის რამე დაწერილი, მოიწონებენ, დამწერს თანაუგრძნობენ. ეპკრების შესახებ მხოლოდ ამ უკანასკნელ წლებში ისმის ცოტათი საყვედური. მეორეთ ვინტერესებათ ის თუ რამე ჩანიფესტი ან მთაერობის გამოცემული გლეხთათვის სასარგებლო კანონი არის. იშვიათათ იმ ჰუმლიცისტურ და ბელეტრისტულ ნაწარმოებზედაც დაგიგდებენ ყურს, სადაც გლეხკაცის გაჭირებაზე და მათ დახმარებაზეა ლაპარაკი. მარა აქ ძალიან მდაბიურათ უნდა განუმარტოთ რომ აზრი გააგებიოთ. ამას გარდა ყურადღებას აქცევენ ჩხუბის (ომის) ამბავს, ჩხუბის ხომ არაფერი ისმისო — შეგვეკითხებიან ესენი. — დიდი ინტერესით კითხულობდნენ თუ გვეკითხებოდნენ, მაგალითათ, საბერძნეთ-ოსმალეთის ომის ამბებს და როგორც ყველა, ისე ესენიც ბერძნების გამარჯვებას ნატრობდნენ. ამ ერთგვარ შეგნებულთა წრეს, თუ დააკვირდება კაცი, შენიშნავს ერთ, ჩვენის აზრით, საყურადღებო მოვლენას, სახელდობრ: რამდენათ უფრო შეგნებული ხდება კაცი, იმდენათ უფრო რწმუნდება თვის შეუგნებლობაში (რასაკვირველია, ჩვენ სახეში გეყავს კაცი რამდენათმე შეგნებული და არა დიდათ და ფართოთ განვითარებული). მაგალითათ, თქვენთან შემოდის ისეთი კაცი, რომელიც ცოტათი ნაკითხია, მხოლოდ ყოველ-დღიურ გაზეთებს ვერ ადევნებს თვალ-ყურს, და გვეკითხებათ: თქვენ ყველა გაზეთებს კითხულობთ და გებულობთ ქვეყნის ამბებს და, გამაგებოე, თუ კაცი ხარ, ამერიკას და რომელიცღა სახელმწიფოს რომ ჩხუბი აქვს, რაფერ მიდის ამ ჩხუბს საქმეო? ამ დროს თქვენთან არის კიდევ ისეთი კაცი, რომელსაც წიგნი ან გაზეთი იშვიათათ წაუკითხავს, მხოლოდ გადნახედაე-გადნაყურებია, ეს თქვენ დაგასწრებთ და ამერიკა-ისპანის ომის ამბავს ასე უხსნის იმას, ვინც იკითხა: ჰო, ჩხუბი აქვს ამერიკას და ინდოეთს, და ამერიკა კიდევ აჯობებსო, წერენ გაზეთებში და სხვა. ანა და ახალგაზდა, რომელიც წინეთ, როცა ცოტა რამ ესმოდა, თამაშათ მსჯელობდა რომელიმე საგანზე, შემდეგ კი, როცა წინანდელზე ბევრათ მეტი შეიგნო, ველარ ბედაე მსჯელობას უადვილეს საგანზედაც კი მეტადრე იმასთან, ვინც მასზე მეტ მცოდნეთ მიაჩნია, და მხოლოდ გულმოდგინეთ ისმენს სხვის მსჯელობას. ამ ერთგვარ შეგნებულთა ანუ შეგნებულთა თანამგრძნობთ ემჩნევათ ერთი საწყენი თვისება, სახელდობრ: გულ-გატეხილობა საზოგადო ცხოვრების გაუმჯობესობაზე. ამათ, როცა აუწერთ წასრულისა თუ თანამედროვე ცხოვრების გაუმჯობესებას და მეტადრე ღარიბთა გაჭირებულ

1) ტარიელ მკვლავის თანდათანობითი განვითარება ჩვენ ლიტერატურაში ზარკველათ სომელებს აღნიშნა — „გებლი“ 94 წ. № 38.

საქართველოს
საქართველოს

მდგომარეობას, რომელსაც რამდენათმე თვითონაც ხედავენ, და დაუხატავთ სურათს გაუმჯობესებული მომავლისას, ესენი ამოიხეცნენ ასე გიპასუხებენ: „არა, ძმაო, აგი ცხოვრება ასე ყოფილა და ასე იქნება; უბედური ღარიბი კაცი ასე გაუჩნდია ღმერთს, ასე უნდა იყოს, ისეთი თანასწორობა და ბედნიერება, რომელსაც სწავლულები ამბობენ და წერენ, მის დღეში არ იქნებაო“. მეორე მხრით არიან ისეთები, რომლებსაც არ ჯერათ არაერთი სარგებლობა წიგნების და გაზეთების კითხვისა (სამწუხაროთ ასეთია ხალხის უმეტესობა) ესენი ამბობენ, რომ წიგნებს და გაზეთებს წერენ ისეთი კაცები, რომლებსაც სხვა საქმე არა აქვთ ან და თავის გამოჩენა უნდათ, ან არა და ფულისთვის წერენ და რასაც წერენ, ისიც არ არის მართალიო. თუ ვინმემ ისეთი მოთხრობა წაუკითხა, სადაც აწერილია გლეხ-კაცის სიღარიბე ესენი ასე წამოიძახებენ: აგინი ვინცაა ამის დამწერი, ჩვენი გაჭირვება აღარ გვეყოფა, ისინი კიდევ რომ გვეცინისო? ამათთან შემთხვევით, ან ისე, თუ რომელიმე ზნე-ჩვეულებრივ მანებლობაზე თუ მოსპობაზე, ან ბუნების მოვლენათა შესახებ ლაპარაკი ჩამოაგდეთ და მათი წინააღმდეგი რამე თქვით, მაშინვე აქედან იმ დასკვნას გამოიყვანებენ, რომ ვითომ თქვენ სარწმუნოებას უარს ჰყოფდეთ. რაკი ამათ არ ჯერათ სარგებლობა წიგნებისა და გაზეთების კითხვისა, — არ ჯერათ აგრეთვე ის, რომ ნასწავლი კაცები რამეს ზრუნავენ და აკეთებდენ ქვეყნისთვის და ღარიბებისთვის. საზოგადო მოღვაწეობა იმათაც კი არა სწამთ, რომელთაც წიგნების და გაზეთების კითხვა სასარგებლოთ მიაჩნიათ. სიტყვა „განათლება“ში ესენი გულისხმობენ კარგათ, მდიდრულათ ცხოვრებას; თუ ვინმე ამათგანი შეიღოს ზრდს — იმ აზრით რომ „აღვოკატი“ და „დობტორი“, თუ არა მწერალი ან ფერწალი მაინც გამოვიდეს. „თუ ვინმემ რამე ისწავლა, ყველა კისერში ჩამაჯდაო“ ამბობენ ესენი. ნასწავლს უწოდებენ ყველას როგორც მასწავლებლებს, დოქტორებს, მღვდლებს, (განათლებულ და საზოგადო მოღვაწეებს ესენი ვერ იცნობენ) ისე აღვოკატებს; პოლიციის მოხელეებს, მოსე მწერლებს, ერთი სიტყვით ყველა იმათ, ვისაც რამდენიმე კლასი გაუთავებია და რუსული ენა უსწავლია, ასე გაშინჯეთ, ჩოთქ-ანგარიშის მკოდნე ვაჭარ პოდრიადნიკებსაც კი.

(შემდეგი იქნება)



მ ო ლ ო დ ი ნ შ ი.


(მატკა ამბავი).

ქრისტეშობისთვის შუა რიცხვები იყო. თუმცა თოვლი არ იდგა, მარა მაინც საკმაოდ ციოდა, ნამეტნავათ დილა საღამოობით. შუადღე იყო. ზამთრის მზე პირმცინარეთ იყურებოდა და სოფელსს გულ-უხვით უგზავნიდა თავის სიბზო მოკლებულ, მარა მაინც მაღლიან სხივებს. — ერთ მეტრატ ღარიბ და სანურავ ჩამოფქვილ ქოხის წინ, დერეფანში, იჯდა ერთი ხნიერი, თითქმის სამოცი წლის, ქალი, პირში

ჩიბუხი ჰქონდა, წინ საჩჩელო და მატყლი ედვა და ჩეჩადა. იქვე დაკუნცულობდა ორი ბავში ფეხშიშველები და დაუხრეწილ პერანგის ამარა; ისინი ბების წინ თავს იქცევდენ და თან მზის შუქზე თბებოდენ. უფროსი მათგანი იქნებოდა ასე ხუთი წლისა და უნცროსი კი სამ ნახევრისა, ან ცოტა მეტისა. თუმცა უკიდურესი სიღარიბის კვალი მათ ძლიერ კარგათ აჩნდათ: ფეხშიშველობის გამო თოთო ფეხები დახეთქილათ და წვივები ცეცხლზე ხშირი მიფიცვებით დალურჯებოდათ, მარა მათი ცოცხალი და წითელ ვაშლსავით გატკრიკილებული სახე ამტკიცებდა, რომ სასტუკ სიღარიბეს ამ პატარა ჩიტუნებისთვის ბევრი ვერაფერი დაუკლია; პირიქით, სიკეთეც მოუტანია, რადგანაც ძლიერ დაუახლოვებია ბუნებათან და მომავალში საჭირო სიცოცხლე და ენერგია ახლავე ჩაუსახავს მათში. და მართლაც ამ მხრით ჩვენი პატარაები სამაგალითონი იყვენ და სრულებითაც არ ჰგავდენ იმ ბატონის შვალებს, რომელთაც დაბადებისათნავე თფილ-თფილ ქურქებში ახვევენ, თავზე ბებრის „ჩეჩიკებს“ აფხატებენ, შინდა ჰაერზე გასელას უკრძალავენ გაცივების შიშით, მარა მაინც ჭლექსა და მუშის უფრო მოაგონებენ კაცს, ვიდრე ცოცხალ არსებათ.

— ბებია, კოკოლი მინდა, — უთხრა უფროსმა ბავშვმა ბებიას და თან კისერზე მოესკენა.

— საჩჩელოზე არაფერი მოიწიო! — მკვირცხლათ მიაძახა ბებიამ და საჩჩელო განზე გადადგა; ალერსიანათ ჩაჰკოცნა შეილი-შეიღს და შევიდა შინ საკმლის გამოსატანათ. გამოიტანა ჯამით, ლობიო და თფილი „ლადრის მქალი“ და მართვა თავის „ბა-



ტოწს“; თითონ კელაე საჩეჩელს მიუჯდა, მარა მალე დაჰირდა შინეე დაბრუნება, რადგანაც უნტროს-მა ბაეშმაც მიიღო მონაწილეობა ჭამაში და ჯამი ოროდ ფთილა მატყლის დაჩეჩვაში დაცალეს. ახლა კი დაანება ბებიაჲ ჩეჩვას თავი და შვილი-შვილების ცქერით ტკბობოდა, როცა ისინი მადიანათ შეექცეოდნენ ლობიოს, და მის დამკვარ დანაოტებულ პირისახეზე ხშირათ გაღიზენდა ხოლომე რაღაც სიამოვნების და კმაყოფილების ხაზი... „ღმერთო! ამათ გაზრდას მიმასწარი და მერე მიწა მტერათ მაქციეო“, ნატერის და თან მაწიწებულ ლოცვი კილოთი ჩაბუტბუტა ბებიაჲ.

— ჭამეთ, გენაცვათ, და აგერ საშობაოთ რომ ლორს დაეკლავთ, მის გულ-ღვიძლს და მარას სულ თქვენ შეგინახავთ სამწუადეთ.

— მართლა, ბებია, საშობაოთ წინდებს მოგვიქსოვ? ერთხმათ ჰკითხეს ბაეშმა, რომელთაც ახლა ახალი წინდები უფრო ეხალისებოდათ, ვიდრე ის ლორის მწვადები, რადგანაც ლობიოთი კმაყოფილნი იყვენ ამ ხელათ.

— კი, გენაცვალოთ ბებიაი, მე წინდებს მოგიქსოვთ და ბაბაი კი ახალ წულებს და ხალათებს გიყილით.

— ოო! ოო! ბაბაი ახალ წულებს გვიყიდის, ახალ ხალათს გვიყიდის. სიხარულით წამოხტენ ბაეშები, რალაი გამოძღვენ და ამასთანავე სასიხარულო ამბავიც შეიტყვენ და დერეფანში აქეთ-იქით სირბილი იწყეს. ბებიაჲ შეინახა ჯამი და კელაე საჩეჩელს მიუჯდა. — მზე კარგათ გადაიწურა. საღამომ შემოდგა ფეხი და თანაც აცივდა, საჭირო შეიქნა კერაში ცეცხლის დაგუზგუზება. ბებიაჲ შემოიტანა ცოტაოდენი ფიხი, დაანთო ცეცხლი და თან ვახშმის სამზადისაც შეუდგა. — ცეცხლაპირს ჩაღვა ქოთნით ლობიო, ცეცხლზე მჭადებისთვის კეცები დააწყო და თითონ კი ფქვილის ცრას შეუდგა. ბაეშები მხიარულათ ჰხტოდნენ საცრის „ტაკი-ტუკის“ ხმაზე და ვინ იქნებოდა, რომ იმათ ახლა ხელს შეუშლიდა და ბედნიერებას დაურღვევდა. დაღამდა კარგათ. მოწმენდილი იყო და საშინლათ ციოდა. ბაეშები კერის ძირში ჩაჯდნენ; ბებია კი ხშირათ ერთმანეთზე შეწყობილ კეცებს აბრუნებდა, ხანაც აღუღებულ ქოთანს უკან გამოსწევდა — ნამეტნავათ მაშინ, როცა ლობიო ამობურებოდა, — რომ არ გადმოსულიყო; უფრო ხშირათ კი გარეთ იყურებოდა და რამდენი ხანიც გადიოდა და ვერაფის ხედავდა, მით უფრო მოუთმენლობა ეტყობოდა, მალე წელანდელ ბაეშების ცქერით მხიარული სახე ფიქრებმა დაუნაოჭა...

— ბებია, ახლა ხომ მეტი აღალ უნდა? — შეეკითხა უფროსი ბაეში ბებიას, როცა მჭადებიც დამ-

ცნარი იყო და ლობიოც მზათ, — ეჭამოთ ახლა ვახშამი!

— მშინ! — დაუკრა კვერი უნტროსმა ბაეშმა.

— აი, ახლავე, თქვა ბებიაჲ: ბაბაი მოვა ქალაქიდან და ყველამ ერთათ ეჭამოთ. მარა მერე მოიგუნება და ბაეშებს ვახშამი მისცა, ვინ იცის, იქნებ დაგვანდეს და ბაეშებს უვახშამოთ მიეძინოთო.

— ბაბაი მოვა და ხალათს მოგვიტანს! მხიარულათ წამოიძახეს ბაეშებმა; მარა ეს ბაეშების მხიარულება ახლა ბებიის ყურადღებას მაინც და მაინც შეღარ იპყრობდა; ის უფრო ხშირათ გაჩუმებული იყო და რაღაც გაურკვეველ სიზრმებს ეძღვებოდა... ბაეშებმა ცოტა წაცუქენეს საკმელი, ხალათის სიხარულით ნახევარი ვახშამი მიატოვეს და კერიის პირში ფეხ მორთხმულ ბებიას აქეთ-იქით მუხლებზე შემოუცქედნენ. ბებიის მიჩვეულ მუხლებს ეს საყვარელი ტვირთი არ უუცხოვებიათ. კარგა ხანს ტუტაკობდნენ ბაეშები ბებიის კალითაში, ხალათის მოლოდინში იყვენ და თითქმის შუალამედის არ დაუძინიანთ სიხარულით. მარა ბოლო ბუნებამ თავისი ჰქნა და ორივე საყვარლათ ჩაიკეცენ ბებიის კალთაში. უკანასკნელმა ისინი ფრთხილათ აიყვანა და მიაწვინა ტახტზე; თითონ კი კელაე მოიკეცა კერს პირში და, მწარე ფიქრებით გატაცებული, ხან რაღაც საიდუმლო ლოცვებს ბუტბუტებდა და ხან გულის გადასაყოლებლათ ჩიბუხს წევდა.

წარმოიდგინეთ ხმელ-ხმელი, საშუალო ტანის კაცი, მოგრძო სახის პატრონი, ხშირ-გრუზა წარბებიანი დაღარული შუბლით და ჩაქანგული კისრით, მის ტანზე მოკლე, სახელო-წაგლეჯილი, წყლის ფერი მსხვილი შალის ჩოხა და თქვენ მიიღებთ ოქრუა გვერდაძის სურათს. დიად, ოქრუა გვერდაძე საწყალი კაცი იყო. — ჯერ კიდევ პატარაობიდან ოც წლამდე „გარეთ იყო“ ფულზე. მუშაობდა რკინის გზაში, ქ — შიაც დადიოდა დღიურ სამკაფარზე, ერთხანს მოჯამავირეთაც იღვა ერთ მდიდარ ვაჭართან და ამ სახით აგროვებდა თითო-ორიოთა ფარას სამერმისოთ. მარა უღმობელმა ბუნებმა კანონმა იმაზედაც გაილაშქრა; — სწორეთ ოცი წლისა იქნებოდა, რომ ჯერ კიდევ ვაჭაკი მამა მოუკვდა და ოჯახის ბურჯი წაექცა. ოქრუა მამის ერთადერთი შვილი იყო და ამიტომ ოჯახის ყველა მოთხოვნის დაგებები, მიცვალებულის გასვენება თუ სხვა რამეები, მოულოდნელათ მძიმე ტვირთათ დაწვა კისერზე. მამის გასვენებაზე რაც საჭირო იყო, ორი იმდენი დახარჯა, რადგანაც სირცხვილს ვერ წაუვიდა და საქვეყნოთ თავი ვერ მოიჭრა. ის რაიოდღე გროში,

რომელიც აქა-იქ დღიურ მუშაობით თუ მოჯამაკი-რობით ეშოვნა, დაეხარჯა და მაგიერის საშოკრათ კი ჯერ-ჯერობით ველარ მიდიოდა, რადგანაც ოჯახს ვერ შორდებოდა. ბოლოს, რაკი უფულობის გამო უყიდურეს მდგომარეობაში ჩაეარდა და ოჯახში კი გამოსარჩენი არა იყო რა, დაიწყო ისევ სამუშაოებზე სარტული. შინ ტოვებდა მახუცებულ დედას, რომელიც ოქრუას აბედინებდა კვლავ გარეთ ფულზე სიარულს. — „ნუ გეშინია, ოჯახს როგორც იქნება მოვიცავო“, ეუბნებოდა იგი. ორი წლის განმავლობაში კიდევ იმუშავა ოქრუამ ფულზე და იმდენიც მოაგროვა, რომ ცოლის შერთვაც შეძლო და ერთი ქცევა საყანე ადგილის ყიდვაც. ჩაება ოქრუა ოჯახში; როგორცაა მოახერხა და ერთი უღელი ხარის ფასიც მოიგო ხელში, გაიწყო ურემი და ასე მოემზადა საოჯახოთ. ამასთანავე ყველ წლიურათ რაკი ყანების მუშაობიდან მოიცილდა, თითო თვეობით საქარაოზე დადიოდა და ასე სახარჯო ფული შემოქონდა ოჯახში. მარტოხელა კაცი იყო და კიდევ ჩინებულათ გამოაწყო საქმე. — ბოლოს ტყეების ყიდვაც დაიწყო მოსაგებათ. დაამუშავებდა ხე-ტყეს და შეშას ურმოზით ჰყიდდა ქალაქში; ალებულ ფულით ტყის პატრონსაც აქა-ყოფილებდა და თითონაც ცოტა ხერს ხედავდა. გავდა ხანი და ოქრუას ვაჟი შეეძინა; წელაწადზე კიდევ მეორე და ორი ვაჟის მამა შეიქნა. ოქრუას სიხარულს საზღვარი აღარა ჰქონდა. შვილების სიყვარულით დღე და ღამე გააერთიანა, მარა მაინც დაღალვას არ გრძნობდა. შვილების სამოქმედო ასპარეზს ახლავე ითვალისწინებდა, — ერთს ვაჟარს მივაბარებ, დეე ერთხანს ემსახუროს, მერე ცოტ-ცოტა წერა-კითხვას და ვაჟრობას შეისწავლის და კაცი გამაგა; მეორეს ხელოვნათ გავაბარებ, თავის თავს მაინც შეინახავს და ვინ იცის, იქნება მეც რამე მარგოსო“, ამქედებდა თავის თავს ოქრუა, მარა ნათქვამია: „კაცი ბჭობდა და ღმერთი იცინოდანო“. ექთმა ისეთმა წელკავმა გამოუარა საწყალ ოქრუას, რომ სულ აურია დაეთრები. ეს იყო, რომ უღროთ ცოლი მოუყვდა და ბავშები - ერთი ორი წლისა და მეორეც მისი უნცროსი — გამოსაზრდელნი და საპატრონო იყვენ. ვინ იყო მათი მომვლელი? ისევ ხეარამზემ, ოქრუას დედამ იკისრა შვილი შვილების გამოზრდა. და მართლაც ეს ხეარამზე საკვირვე-

ლი ადამიანი იყო. რაები არ გამოუცდია, რაები გადახედია თავზე!.. შიმშილ-წყურელი, ქალ-კაცობა ოჯახში, ხშირათ მთელი ღამეების მარტო-მარტო დაკეტილ სახლში გატარება, სიქერივე, სიხეჩავე და ათასი სხვა... მარა იგი ამდენი ჭირ-ვარამს გამოისე გამოცდილ-გამობრძმედილი იყო, რომ მას ახლა სხვა და სხვა ახალი განსაცდელეები ბევრს ველარას აკლებდენ. „სხვა და სხვა ჭირი ჩემზედა არ ახალია ძველიაო“, ამბობდა გულში ხეარამზე და მართალიც იყო. ახლა მას ველარც სილარიზე და მარტოობა აშინებდა. იგი თვით ამოღებულ ხმალსაც კი არ შეუდრკებოდა! — ხშირათ მოჰხდარა, რომ რომელიმე ხეარამზესაგან გაჯავრებულ მეზობელს ხმაც ვერ ამოელო, რადგანაც იცოდა ხეარამზეს ამბაეი, რომ თუ დაჰირდებოდა, ნიგუზლებსაც დაატრიანებდა. თუკა ასეთი იყო ხეარამზე, მარა მაინც მეზობლებში პატივისმცემელი ბევრი ჰყავდა; მისი თითქო ყველას ერიდებოდა, და ეს მორიდება და პატივისცემა გამოწვეული იყო უფრო მეზობლების მისდამი სიბრალულით და არა სხვა რაიმე მიზეზით. — ყველამ იცოდა ხეარამზეს გაჰირეებული წარსული და აწმყოც. — „მაგას თავის დღეში ხერიიანათ არ გაუცინია და ჩვენ კიდევ ხელი მოეუბოთ, ეგ ხომ დამწვარზე მდულრის დასხმა იქნებაო“, ამბობდენ მეზობლები. ამ ბოლო დროს სიბერის დღეს, ხეარამზეს, სხვა ოჯახის საქმეებთან ბავშების გამოზრდაც დაწვა კისერზე, მარა იგი არაფერს არ უფრთხობდა. მართალია, ბევრი ტანჯვა გამოიარა მან ამ საქმეში, ბევრი ღამეები უძილოთ გაატარა, მარა ყველა ამეებს ის სიხარულით იღებდა, რაკი ნაშრომი არ ეკარგებოდა: ბავშები თვალის წინ ეზრდებოდენ.

დ. თომასვილი.

„ქვალის“ ფოსტა.

ბ. პასკვას. თქვენი წერილი ვერ იბეჭდება.

№ IX „ჯაჯილისა“ გამოვიდა და დაურვიგდება ხელის მომწერლებს.

„ქვალის“ და „ჯაჯილის“ რედაქციაში

იყიდება შემდეგი საკუთარი გამოცემები:

- თამარ დედოფლის სურათი 1 მ. 50 კ. (გასაგზ. 30 კ.)
- ალბომი „ბუნება სურათებში“ ყდ. 1 მ. 30 კ. (გასაგზ. 40 კ.)
- პატარა ლორდი 30 კ.
- ჩვენი ძველი გმირები 30 კ.
- თეთრი და ზანგი 15 კ.
- სოლომონ მეფე 10 კ.
- ორი მოთხრობა ეგ. ნინოშვილისა 10 კ.

რედაქტორ-გამომცემელი ან. თ. წიკოტაძისა.